პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 66 (1236) | სამშაბათი, 3 ივნისი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 30 კაპ.




ლენინგრადში დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდში, რომელშიც მონაწილეობდნენ პოლონეთის, ფინეთის, რუსეთის ფედერაციის, ესტონეთისა და ლენინგრადის გუნდები. პირად ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვა ლენინგრადელმა სპორტსმენმა ნ. ტატარინოვმა. გუნდური პირველობა მოიპოვეს ლენინგრადელებმა.

**სურათებზე:** (მარცხნივ) — ნ. ტატარინოვი 4-კილომეტრიანი მძლეოსნური კროსის დისტანციაზე. (მარჯვნივ) — შეჯიბრებაში გამარჯვებული ლენინგრადის გუნდი (მარცხნიდან მარჯვნივ) — ა. ტარასოვი, ს. ფეტისოვი, ლ. ჩაპურსკი და ნ. ტატარინოვი.

ფოტო ნ. ნაუმენკოვისა (საკდესი).

# პროფკავშირების ღირსების საქმე

ამ დღეებში თბილისში მუშაობა დაასრულა საქართველოს პროფკავშირთა IX ყრილობამ, რომელიც ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციების ცხოვრებაში. ყრილობა მოეწყო იმ პერიოდში, როცა რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები ენერგიულად იბრძვიან კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განუხრელად გატარებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს გაძლიერებისათვის, ჩვენი ადამიანების კეთილდღეობის კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის.

ყრილობაზე სიტყვებში გამოსული დელეგატები ერთხმად ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ პროფკავშირებში მუშაობის გარდაქმნამ, ზედმეტი რგოლების ლიკვიდაციამ ხელმძღვანელობა დაუახლოვა პირველად ორგანიზაციებს, რამაც ხელი შეუწყო მუშაობის მაღალ დონეზე წარმართვის საქმეს. განსაკუთრებით გამოცოცხლდა მუშაობა პროფკავშირულ ორგანიზაციებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შემდეგ, რომელმაც ჩვენი ქვეყნის პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაუსახა ახალი საბრძოლო ამოცანები მუშაობის კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის. ყრილობაზე აღნიშნული იქნა აგრეთვე პროფკავშირულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ.

ყველასათვის ნათელია, რომ პროფკავშირების მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი უბანი, მშრომელთა ფიზიკური გაჯანსაღება, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლაა. ამ მიზანს ემსახურება მრავალი პროფკავშირული სპორტული საზოგადოება. საკავშირო პროფსაბჭოს გადაწყვეტილებამ სპორტული საზოგადოებების გამსხვილების შესახებ ახალი ბიძგი მისცა პროფკავშირულ ორგანიზაციებში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის აღმავლობის საქმეს. გამსხვილებული საზოგადოებები აერთიანებენ რესპუბლიკის ათიათასობით პროფკავშირელს, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმულნი სპორტულ სექციებში, წარმატებებს აღწევენ რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში.

მიმდინარე წელს განსაკუთრებული მუშაობის ჩატარება მოუხდებათ პროფკავშირების ფიზკულტურულ ორგანიზაციებს. კარზეა მომდგარი პროფკავშირთა საკავშირო, ხოლო შემდეგ საქართველოსა და სსრკ ხალხთა II სპარტაკიადები. სპორტულმა საზოგადოებებმა მათი მუშაობის ამ მეტად საპასუხისმგებლო პერიოდში მთელი საქმიანობა უნდა გადართონ ამ ამოცანების გადასაჭრელად. ამიტომ საჭიროა აქტივის მობილიზება და სპორტული კალენდრით გათვალისწინებული ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარება.

ახლახან ჩამოყალიბებულმა სპორტულმა საზოგადოება „განთიადმა" უკვე გასწია მნიშვნელოვანი მუშაობა წარმოება-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების სპორტულ საქმიანობაში ჩაბმისათვის. მაგრამ ამ ორგანიზაციას თავის მუშაობაში გააჩნია მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები. იგი ჯერ კიდევ მთლიანად ვერ გაეცნო თავისი ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების შესაძლებლობებს და სათანადო პრაქტიკულ დახმარებას არ უწევს მათ მუშაობას, ხოლო „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურმა სპარტაკიადამ დაგვანახვა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში სპორტის ბევრი სახეობა საგრძნობლად ჩამორჩება.

ამჟამად პროფკავშირების ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას. მათ ძირფესვიანად უნდა გარდაქმნან თავიანთი საქმიანობა, იბრძოლონ იმისათვის, რათა ფიზკულტურა და სპორტი რაც შეიძლება ღრმად შეიჭრას მშრომელთა ცხოვრებაში, რომ პროფკავშირების სპორტულმა ორგანიზაციებმა კვლავ აღზარდონ უძლიერესი სპორტსმენები, რომლებითაც დაკომპლექტდება რესპუბლიკის ნაკრები გუნდები და რომლებიც წარმატებით იბრძოლებენ რესპუბლიკის სპორტსმენთა გამარჯვებისათვის საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში.

# სპორტულ ჟურნალისტთა კრება

ამას წინათ მოსკოვის ჟურნალისტთა სახლში სპორტული ჟურნალისტების აქტივის კრებამ მოისმინა და განიხილა მოხსენებები: „ცენტრალურ პრესაში სპორტული მიმოხილვები" და „საკავშირო სატელეგრაფო სააგენტოს სპორტული მოამბე".

ცხარე კამათის შემდეგ კრების ყველა მონაწილე შეთანხმდა იმაში, რომ საჭიროა უფრო ხშირად, ფართოდ, ღრმა ანალიზით იბეჭდებოდეს სპორტული მიმოხილვები ცენტრალურ გაზეთებში. ბევრი საყვედური ითქვა საკდესის სპორტული მიმომხილველის მიმართ. კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ საზღვარგარეთული სპორტის ამბები ხშირად ქვეყნდება არასრულად და დაგვიანებით.

# ფინალში მონაწილეობისათვის

როგორც ცნობილია, ფეხბურთში მსოფლიო პირველობის საორგანიზაციო კომიტეტს აპრილში გაეგზავნა სსრ კავშირის ნაკრები გუნდის 40 კანდიდატის სია. მას შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელებმა ჩაატარეს მთელი რიგი საწვრთნელი შეხვედრები და საბოლოოდ დადგენილ იქნა 22 მოთამაშის სია, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ შვეციის ფინალურ მატჩებში. აი ეს სიაც.

**მეკარეები:** ლ. იაშინი, ვ. ბელიაევი („დინამო", მოსკოვი), ვ. მოსლაჩენკო („ლოკომოტივი", მოსკოვი).

**დაცვა:** ვ. კესაროვი, კ. კრიჟევსკი, ბ. კუზნეცოვი („დინამო", მოსკოვი), ვ. ეროხინი („დინამო", კიევი), ლ. ოსტროვსკი („ტორპედო", მოსკოვი).

**ნახევარდაცვა:** ი. ვოინოვი („დინამო", კიევი), ი. ნეტო, ა. მასლიონკინი („სპარტაკი", მოსკოვი), ვ. ცარიოვი („დინამო", მოსკოვი).

**თავდასხმა:** გ. აპუხტინი (ცსკ მო, მოსკოვი), ვ. ბუბუკინი („ლოკომოტივი", მოსკოვი), გ. გუსაროვი, ვ. ივანოვი, ი. ფალინი („ტორპედო", მოსკოვი), ა. ივანოვი („ზენიტი", ლენინგრადი), ა. ილინი, ს. სალნიკოვი, ნ. სიმონიანი („სპარტაკი", მოსკოვი), ჰ. ფედოსოვი („დინამო", მოსკოვი).

# ბულგარეთი — რსფსრ

ბულგარეთისა და რსფსრ-ს მოკრივეთა საერთაშორისო ამხანაგურმა შეხვედრამ, რომელიც ამას წინათ ჩატარდა კრასნოდარში, დიდი ინტერესი გამოიწვია.

უმჩატეს წონაში რსფსრ-ს ჩემპიონმა, სპორტის ოსტატმა ვ. ბისტროვმა ქულებით მოუგო ბულგარელ ბ. ბელიჩკოვს, ხოლო ს. პეტკოვმა (ბულგარეთი) მოუგო ბაშკირეთის ჩემპიონს რ. უტიაშევს.

სტუმრების გუნდს კიდევ ერთი ქულა მოუტანა ი. ხრისტოვმა. მან დაამარცხა ვ. ტრესვიაცკი. ახალგაზრდა გ. კოეუხაროვმა (ბულგარეთი) ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწია XVI ოლიმპიური თამაშების პრიზიორს ა. ლაგეტკოს და დამარცხდა.

ბულგარეთის 1957 წლის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის ტ. ივანოვი დაამარცხა ლ. შეინკმანმა. ს. ნიკოლოვის (ბულგარეთი) მეტოქე ამ მატჩში იყო ი. როდონიაკი. საბჭოთა მოკრივემ მოიპოვა დამსახურებული გამარჯვება.

ლ. პურვინსკი ნ. ნიკოლოვმა (ბულგარეთი) მეორე რაუნდში ნოკდაუნში ჩააგდო, მაგრამ საბჭოთა მოკრივემ შეძლო ძალების მობილიზება და გამარჯვებასაც მიაღწია. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ახალგაზრდა ბულგარელმა ვ. პაპარიზოვმა, რომელმაც დაამარცხა საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ბ. ნაზარენკო. ქვემძიმე წონაში ვ. ვოილოშნიკოვმა (რსფსრ) პირველ რაუნდში აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა ს. პანაიოტოვზე.

მძიმე წონაში შეხვდნენ ოლიმპიური თამაშების მონაწილენი ბ. ლოზანოვი (ბულგარეთი) და ლ. მუხინი. გამარჯვება მოიპოვა მუხინმა. ამრიგად, საერთაშორისო შეხვედრა რსფსრ-სა და ბულგარეთის მოკრივეთა შორის დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით — 7:3.

# ზედიზედ მესამედ

**ბრიუსელი.** 28 მაისს ბრიუსელში შედგა ევროპის ჩემპიონების მესამე თასის გათამაშება ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ფინალისტები: „რეალი" (მადრიდი) და „მილანი" (მილანი). აღსანიშნავია, რომ ეს გუნდები მანამდე ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და თვითეულმა მათგანმა მოიპოვა 2-2 გამარჯვება.

თამაში დაიწყო ესპანელთა მძაფრი შეტევებით, მაგრამ იტალიელები წარმატებით იცავდნენ თავიანთ კარს. პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია — 0:0.

შესვენების შემდეგ იტალიელთა ფორვარდმა სკიაფინომ გახსნა ანგარიში — 1:0. 15 წუთის შემდეგ „რეალის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა დი სტეფანომ გაქვითა გოლი — 1:1. მალე სკიაფინომ კვლავ წინ გაიყვანა თავისი გუნდი, მაგრამ 20 წამის შემდეგ დი სტეფანომ კვლავ გაათანაბრა ანგარიში — 2:2.

დაინიშნა დამატებითი დრო. ესპანელთა მარცხენა გარემარბმა ხენტომ უძლიერესი დარტყმით შორი მანძილიდან გაიტანა მესამე გოლი, რომელმაც გადაწყვიტა ფინალის ბედი ესპანელთა სასარგებლოდ.

ამრიგად, „რეალმა" ზედიზედ მესამედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონების თასი და ეს პრიზი სამუდამოდ დარჩა კლუბის გამგებლობაში.

# მოჭიდავეთა ამხანაგური შეხვედრები

**„განთიადი" (თბილისი) — „ტრუდი" (მოსკოვი)**

31 მაისს თბილისის სახელმწიფო ცირკის შენობაში გაიმართა ამხანაგური შეხვედრა კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში მოსკოვის „ტრუდისა" და თბილისის „განთიადის" გუნდებს შორის.

შეჯიბრება დაიწყო კლასიკური ჭიდაობით. საკმაოდ ფრთხილ ბრძოლაში მიმდინარეობდა დ. ზაქორკინისა („ტრუდი") და მ. ყაზაროვის („განთიადი") შეხვედრა უმჩატეს წონაში. მხოლოდ ჩოქბჯენში მოპოვებული მცირე უპირატესობის წყალობით შეძლო ყაზაროვმა გამარჯვების მოპოვება.

დიდ ინტერესს იწვევდა ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონის ბ. გურევიჩის შეხვედრა. ახალგაზრდა თბილისელ ო. ეგაძესთან (მჩატე წონა). გამოცდილი მოწინააღმდეგის ოსტატობას ეგაძემ დაუპირისპირა დიდი მონდომება და ენერგია და ფრეს მიაღწია.

მომდევნო ორ წონით კატეგორიაში მოსკოველებმა მ. ჩერკასოვმა და ვ. ანტოშინმა დაამარცხეს ი. ძებისაშვილი და მ. ასათიანი, მაგრამ დ. გვანცელაძემ მოსკოვის არაერთგზის ჩემპიონის ვ. ბურილინის დამარცხებით გაათანაბრა ანგარიში.

დარჩენილი შეხვედრებიდან მხოლოდ მძიმე წონაში იქნა ფიქსირებული ფრე: ა. პოძიუნსკი („ტრუდი"),-გ. ჭითავა („განთიადი"). ფ. გველესიანმა მოუგო ს. სუხარენკოს, ხოლო გ. სინაურიძემ 8 წუთსა და 20 წამში ბეჭებზე დადო მოსკოველი მ. ამნიაშვილი. კლასიკურ ჭიდაობაში გამარჯვება მოიპოვეს თბილისელებმა — 5:3.

კიდევ უფრო აშკარა იყო „განთიადის" სპორტსმენთა უპირატესობა თავისუფალ ჭიდაობაში.

(გაგრძელება მე-3 გვ.).




**სურათებზე:** საგარეჯოელი პიონერები მოსკოველ მოჭიდავეებს გადასცემენ ყვავილებს, მარჯვნივ — ა. მაისურაძისა და ვ. ბორისოვის შეხვედრა.

ფოტო გ. ქიმერიძისა.

# იყო მოწინავე კოლექტივი

ნამდვილად ერთ-ერთ ძლიერ ფიზკულტურულ კოლექტივად ითვლებოდა ქალაქ ფოთის წისქვილკომბინატი და სამართლიანადაც. დირექციის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური ზრუნვით აქ რეგულარულად მოქმედებდნენ ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთისა და ჭადრაკის სექციები. სამუშაოდან თავისუფალ საათებში კომბინატის კეთილმოწყობილ სპორტულ ბაზებზე არ წყდებოდა სპორტსმენთა ყიჟინა, ხშირად ტარდებოდა შიდასაკოლექტივო პირველობები, სამატჩო შეხვედრები საამქროთა ფიზკულტურელებს შორის. სისტემატური ვარჯიში ადგილობრივ სპორტსმენებს საშუალებას აძლევდა ყოველთვის მზად ყოლოდათ გუნდები საქალაქო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის. მაგალითად, აქ იმდენად ძლიერი გუნდი ყავდათ ფეხბურთელებს, რომ ბევრი მათი წევრი — ა. გიორგაძე, ა. სარია, გ. ბერძენიშვილი და სხვები ქალაქის ნაკრებშიც კი თამაშობდნენ. არა ერთხელ მოუპოვებიათ ფოთის ჩემპიონობა მაგიდის ჩოგბურთელებს, იყვნენ ძლიერი მოჭადრაკეები — კომბინატის მთავარი ინჟინრის მოადგილე ი. ვეკუა, მთავარი მექანიკოსი — შ. გეგეჭკორი და სხვები.

სექციების ნაყოფიერმა მუშაობამ, სპორტით მუშა-მოსამსახურეთა დაინტერესებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ აქ ყოველწლიურად გადაჭარბებით სრულდებოდა ნიშნოსანთა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების გეგმები.

ასე იყო 1954 წლამდე. ამ პერიოდიდან კი ყველაფერი შეიცვალა ფოთის წისქვილკომბინატში. ძირეული ფიზკულტურული საბჭოს უმოქმედობის გამო თანდათან შეწყვიტეს საქმიანობა სექციებმა, დაიშალა გუნდები, აღარ ტარდება კომბინატის პირველობები, შეხვედრები საამქროებს შორის, შეჯიბრებები მეზობელ ფიზკულტურულ კოლექტივებთან, კალათბურთისა და ფრენბურთის შესანიშნავი მოედნები თანდათან გაპარტახდა და მალე მწყობრიდანაც გამოვიდა.

ასე გრძელდებოდა სამი წლის განმავლობაში. მოთმინების ფიალა აევსოთ სპორტის მოყვარულ მუშა-ახალგაზრდებს. მათ დირექციის წინაშე არაერთხელ დააყენეს საკითხი მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების შესახებ და დაჟინებითი თხოვნით გასულ წ[illegible], როგორც იყო მიაღწიეს იმას, რომ პროფკავშირული ორგანიზაციის ერთ-ერთ კრებაზე საერთო მსჯელობის საგნად გახადეს ძირეული საბჭოს (თავმჯდომარე გ. ჩაკვეტაძე) უმოქმედობის საკითხი. კრებამ მთლიანად შეცვალა საბჭოს ყოფილი შემადგენლობა. თავმჯდომარედ აირჩიეს გ. ბარაბაში და დაავალეს საფუძვლიანად გარდაექმნა ფიზკულტურული მუშაობა. მას შემდეგ ექვსი თვე გავიდა, მაგრამ მნიშვნელოვანი დღემდე არაფერი გაკეთებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევიდან რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყეს კომბინატის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. ეს არის და ეს.

საერთო კრების დადგენილება განუხორციელებელი დარჩა, რაც იმან გამოიწვია, რომ კომბინატში პატივს არა სცემენ ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებას, არ ამოწმებენ მის შესრულების მიმდინარეობას. ასევე განუხორციელებელი, თეთრზე შავად დაწერილი დარჩა კომკავშირის კომიტეტის 9 დეკემბრის სხდომაზე მდივნის ა. ცანავას ინფორმაციის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებაც, რომელიც კომიტეტის წევრს გ. გაბუნიას ავალებდა ძირეული საბჭოს თავმჯდომარესთან ერთად შეექმნა მაგიდის ჩოგბურთელ ქალთა ჯგუფი და თვალყური ედევნებინა მათი წვრთნისათვის.

რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნების უმრავლესობაში კარგა ხანია დაინერგა საწარმოო ტანვარჯიში. აქ კი ამ ღონისძიების ცხოვრებაში გატარებისათვის არავინ ზრუნავს. უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან არსებულ ინვენტარს, შარშან შეძენილი კალათბურთელთა ფორმა ძირეულმა საბჭომ თავიდან მოიშორა — დაარიგა თანამშრომლებზე, რომლებმაც იგი ყოველდღიურ სახმარ ტანსაცმლად გადააქციეს.

საბჭოს ახალი შემადგენლობა გაყვა წინამორბედის გზას — დღემდე არ შეუდგენიათ სამუშაო გეგმა, სპორტღონისძიებათა კალენდარი, არ აქვთ ფიზკულტურელთა აღრიცხვა. მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის შეუფასებლობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ აქ არც კი იციან, რომელ საზოგადოებას ეკუთვნიან — „განთიადსა" თუ „კოლმეურნეს".

ზემდგომი ფიზკულტურული ორგანოების სუსტმა კონტროლმა, მუშაობის თვითდინებაზე მიშვებამ სამარცხვინო მდგომარეობამდე მიიყვანა ერთ დროს ფოთის მოწინავე წისქვილკომბინატის ფიზკულტურული კოლექტივი.

ო. გურგენიძე

ჩვენ გვწერენ

# არ აქვთ პირობები

წარსულში ბევრი კარგი და რაიონისათვის საამაყო საქმე გაკეთებულა თეთრიწყაროში. ძირეულ კოლექტივებში აღზრდილ ახალგაზრდებს არა ერთ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მიუღიათ მონაწილეობა და უკან იშვიათად თუ დაბრუნებულან დარცხვენილი. მაგრამ ეს იყო ოდესღაც, როცა რაიონში მუშაობდა სპორტული სკოლა ტანვარჯიშის, მძლეოსნობისა და სხვა სახეობათა სექციებით. ახლა მათგან მხოლოდ მოგონებაღაა დარჩენილი. რაიონის ხელმძღვანელი მუშაკების სუსტი დახმარების გამო, აქ არაა სათანადო ბაზები, მწვავედ განიცდიან ინვენტარის ნაკლებობას, ფაქტად ისიც კმარა, რომ თეთრიწყაროში ერთადერთ ბაზას წარმოადგენს ფეხბურთის მოედანი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნის მოწყობას კი საშველი არ დაადგა. 1953 წელს სპორტული სკოლის გაუქმების შემდეგ რაიონში ფაქტიურად საფუძველი გამოეცალა ტანვარჯიშისა და მძლეოსნობის განვითარებას.

ვ. დვალი

# ინერგება საწარმოო ტანვარჯიში

ზესტაფონის დეპოში მუშა-მოსამსახურეთა შრომის ნაყოფიერებისა და ჯანმრთელობის შემდგომ ზრდის მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა. სწორედ ამიტომ იყო, რომ აქ კარგახანია დაიწყეს საწარმოო ტანვარჯიში. მისი წარმატებით დანერგვისათვის კოლექტივში მოეწყო საუბრები საწარმოო ტანვარჯიშის როლისა და მნიშვნელობის შესახებ, გაიმართა ლექციები, ძირეულმა პრესამ თვალსაჩინო ადგილი დაუთმო ამ ღონისძიებას და სხვ. ახლა, ყოველ დილით, მუშაობის დაწყებამდე რეგულარულად ტარდება გამამხნევებელი ვარჯიშები.

საჭიროა ეს სასარგებლო ღონისძიება ფართოდ დაინერგოს ქვანძის სხვა საწარმოებშიც.

ს. ტალახაძე

# ერთი პირველი თანრიგი

ბუნებრივია, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამატჩო შეხვედრაზე საქართველოს მძლეოსანთა გამარჯვების შემდეგ თბილისის პირად-გუნდური პირველობის პირველმა ტურმა მრავალი მაყურებელი მიიზიდა. შეჯიბრებამ, რომელსაც სპორტის მოყვარულები ინტერესით მოელოდნენ, არ გაამართლა, რადგან ამიერკავკასიის პირველობის ბევრმა პრიზიორმა გადაღლის შიშით თავი მოარიდა მას. შეჯიბრებაში მონაწილე 123 სპორტსმენიდან მხოლოდ ერთმა — ს. როზანოვამ შეასრულა პირველი თანრიგის ნორმატივი, ხოლო 25-მა ძლივს შეძლო მეორე თანრიგის ჩვენება. შეჯიბრების მსვლელობაში დამყარებულ იქნა ორი რესპუბლიკური რეკორდი. ა. შჩერბინამ (მწვრთნელი ლ. გიორგაძე) 10 კმ-ზე სპორტულ სიარულში აჩვენა 45.12,6, ხოლო განათლების განყოფილების სპორტსკოლის მოსწავლე ა. ბედუკაძე (მწვრთნელი ვ. ლაბუნსკი) გადახტა 6.63 მ-ზე (რესპუბლიკური რეკორდი ჭაბუკთათვის). ეს უკანასკნელები მონაწილეობდნენ კონკურსგარეშე.

100 მეტრზე რბენის ფინალში ვაჟებში გაიმარჯვა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ნ. ჯვებენავამ — 11,7. 5000 მეტრზე რბენის სტარტზე მხოლოდ 5 მონაწილე გამოცხადდა. დინამოელ გ. სმირნოვის შედეგი, რომელმაც [illegible] ტოვა მეტოქეები, მესამე თანრიგისაც კი ვერ [illegible] (17.28,2) [illegible] ტყორცნაში ვაჟთა და ქალთა შორის მხოლოდ ი. გიგაურმა და გ. ბრიტვინამ შეძლეს მეორე თანრიგის შედეგის ჩვენება (61, 62, და 40, 80 მ.), ქალთა ხუთჭიდში და ვაჟთა ათჭიდში გაიმარჯვეს ლ. ლევჩენკომ და ე. ტარანმა (ელდეპო).

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა, მეორე ადგილზეა 26 კომ. სახ. რაიონი, ხოლო მესამეზე — ელდეპო.

გ. სამსონაძე

# წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის 8 აპრილის ნომერში მოთავსებული იყო მამხილებელი წერილი — „იბრძოლნენ წაგებისათვის", რომელიც ეხებოდა მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაზე მეორე ჯგუფში ზოგიერთი მონაწილის მიერ ჩადენილ არასპორტულ საქციელს.

როგორც გორის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტიდან გვატყობინებენ, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. შეჯიბრების დროს დისციპლინის დარღვევისათვის კალათბურთელ ჯ. სიდამონიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო მოჭიდავე ბაზერაშვილს მიეცა გაფრთხილება.




ხელოვნურ და ბუნებრივ გამოქვაბულთა შესწავლამ საქართველოში ამ ბოლო ხანებში საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო. გასულ წელს მრავალი გამოქვაბული იქნა შესწავლილი. ჩატარდა წინასწარი დაზვერვები ხელოვნურ და ბუნებრივ გამოქვაბულთა შესასწავლად. ამ საქმეს ხელი მოკიდეს სამეცნიერო დაწესებულებებმა, რომლებთან ერთად მონაწილეობას იღებენ მთამსვლელებიც.

თრეხვის კლდოვან გამოქვაბულთა სადაზვერვო ექსპედიციამ გასულ წელს იპოვნა წარწერიანი თლილი მოჩუქურთმებული ქვა, რომელიც გვაუწყებს თრეხვის გამოქვაბულთა ამშენებლების ვინაობას. იგი ეუგია ცნობილ ისტორიკოსს ლეონტი მროველს. წარწერა აზუსტებს ლეონტი მროველის მოღვაწეობის ხანას.

თრეხვის გამოქვაბულში ნაპოვნმა წარწერამ დააჩქარა ამ გამოქვაბულთა შემდგომი შესწავლის საქმე. ამას წინათ მოეწყო ექსპედიცია თრეხვის გამოქვაბულთა შესასწავლად (ჯგუფს ხელმძღვანელობდა არქიტექტორი გ. გაფრინდაშვილი, მასში შედიოდნენ: არქეოლოგი ა. რამიშვილი, ალპინისტები — სპორტის ოსტატი დ. ობოლაძე, დ. დანგაძე, გ. მაჭარაშვილი, გ. თიკანაძე, ფოტოგრაფი ი. ზენკო, კინოოპერატორი ო. დეკანოსიძე, ოპერატორის თანაშემწე ი. ბარამიძე). ექსპედიცია მოაწყო საქართველოს კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საქმეთა სამმართველომ.

9 მაისს გავემგზავრეთ სოფელ თრეხვისაკენ. თრიალეთის ქედის ერთ-ერთი განტოტება შუაზე გაუჭრია პატარა მდინარე ხვედრულას, ხეობის სათავის მახლობლად მდინარეს გაუშიშვლებია თიხა-ფიქალოვანი ქანები. შუა ნაწილში გამოქვაბულთა მთელი ჯგუფები მოჩანს. მოსახლეობას ხეობის ამ ნაწილისათვის „ხვრელთა ხევი" უწოდებია.

10 მაისს, დილის 9 საათზე შემოსავლელი ბილიკებით გამოქვაბულებს ზევიდან მოვექეცით. დაცვისათვის ვიყენებთ ხეს, რომელიც კლდის თავზეა ამოსული. ქვევით ვუშვებთ დ. დანგაძეს. 3 წუთის შემდეგ 50-მეტრიან თოკზე ჩამოკიდებული დანგაძე შვერილ ბაქანზეა, მაგრამ გამოქვაბულიდან 30 მეტრის დაშორებით განზე. იქვე ჩავდივართ ჩვენც. თოკისა და კარაბინის გამოყენებით გვირაბებში შევედით.

ხელოვნურად გამოკვეთილი ქვაბებიდან მთლიან დანგრევას გადარჩენია მხოლოდ ხუთი. მათ შორის შედარებით კარგად არის შემონახული განაპირა, დიდი გამოქვაბული, რომლის შიგნით შელესილი, თითქმის დაუზიანებელი, წყალსაცავია ამოშენებული.

11 მაისს მოვახდინეთ მეოთხე ჯგუფის გამოქვაბულების დაზვერვა, რომლებიც 3 კილომეტრითაა მოცილებული ჩვენი ბანაკიდან. აქ ზევიდან ჩამოსვლა შეუძლებელი იყო: კლდის ზედა ნაწილი ქვაბებამდე საკმაოდ დიდია, ამასთან ძალზე გადმოხრილი.

სამმა კაცმა დავიწყეთ პალოებითა და თოკებით ასვლა. კლდე მეტისმეტად გამოფიტული აღმოჩნდა, იშლებოდა ხელის მოკიდების დროს, ვერ იმაგრებდა პალოს, საფრთხეს უქადდა მომდევნო ამხანაგს. 3-საათიანი დაძაბული შრომის შემდეგ მივაღწიეთ ამ ჯგუფის პირველ ქვაბს. თოკების საშუალებით ამოვიყვანეთ დანარჩენი მონაწილენი.

17 მაისს გამოქვაბულთა მესამე ჯგუფს ვესტუმრეთ, 15-მეტრიანი სუსტი დაქანების ფერდობი დავძლიეთ და ქვაბებში შევედით. აქ აღმოჩნდა წყალსაცავი, ქვევრები, ნაპოვნი იქნა ხელის წისქვილის ქვები, თიხის ჭურჭლის ნამტვრევები და რკინის ორკაპი.

22 მაისს მოვახდინეთ პირველი ჯგუფის გამოქვაბულთა დათვალიერება.

შვეული კედელი მეტად საშიში აღმოჩნდა ქვის ცვენის გამო. მიუხედავად ამისა, მთელი შემადგენლობა დილის 8 საათზე გამოქვაბულებში იყო. აქ რამდენიმე ქვაბთან ერთად, შედარებით კარგად არის შემონახული ის ქვაბი, სადაც ნაპოვნი იქნა ლეონტი მროველის წარწერა. აქვე არის მოთავსებული ორგანყოფილებიანი ფართო გამოქვაბული, რომლის მეორე ქვაბში აშენებულია დიდი მოცულობის წყალსაცავი. ორდღიანი მუშაობის შედეგად ქვაბების სისტემა შესწავლილ იქნა. 24 მაისს, საღამოს 6 საათზე ექსპედიციამ დაამთავრა თავისი მუშაობა.





დ. ობოლაძე,
სპორტის ოსტატი.

* * *

სურათებზე: ზევით — ექსპედიციის წევრები გვირაბიდან გვირაბში თოკის მოაჯირებით გადადიან. მარცხნივ — დ. ობოლაძე და ი. ბარამიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XIX ჩემპიონატი

XV ტურში ყველაზე ადრე დამთავრდა ბრეიტმან-რაზოვსკის პარტია. ტყვარჩელის წარმომადგენელი ბრეიტმანი გამოცდილი მოჭადრაკეა, იგი უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე რეგულარულად მონაწილეობდა ბელორუსიისა და მინსკის ჩემპიონატებში. ჩვენს ჩემპიონატში ბრეიტმანი მეორედ გამოდის, ამჯერად წარმატებით. მან უკვე დებიუტში იწორა ფიგურა, შეიჭრა რაზოვსკის ბანაკში და მის მეფეს შამათი გამოუცხადა. ამ პარტიას მოყვა გამრეკელისა და ბუსლაევის ყაიმი, რომლებმაც ზავი დადეს ჯერ კიდევ ჯანსაღ, თანაბარ სავსე პოზიციაში.

გურგენიძემ დასაწყისში გაცვალა ლაზიერები და თამაშში უკეთეს დასრულებაში გადაიყვანა. იგი მეთოდურად ავიწროებდა დემურიას ფიგურებს. გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვების შემდეგ გურგენიძემ გაიმარჯვა. მწვავე თამაშით აღინიშნა ლოლუასა და იზვოზჩიკოვის შეხვედრა. ლოლუამ უკეთესად ითამაშა გადამწყვეტ მომენტში და გაიმარჯვა. გიორგაძემ მოუგო გაგუას.

ცუდად თამაშობს ფინიშზე კალატოზიშვილი, რომელმაც უკვე ზედიზედ მესამე პარტია წააგო. ბელთაძემ იგი პატარა კომბინაციაზე „დაიჭირა" და ეტლსა და მხედარში ლაზიერი მოუგო.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს შიშოვმა ბრეიტმანთან ითამაშა X ტურიდან გამოტოვებული პარტია. ოსტატმა მისთვის ეს მეტად მნიშვნელოვანი პარტია გამარჯვებით დაამთავრა. ოთხი პარტია ითამაშა მაჭავარიანმა. მან წააგო კასპარიანთან და ბუსლაევთან. შემდეგ კი მოახდინა უპირატესობის რეალიზაცია დემურიასა, რაზოვსკისთან და გაიმარჯვა. ლომაიამ დაამარცხა მორჩილაძე, დემურიამ მოუგო ლოლუას.

იმის გამო, რომ შიშოვს სამი გადადებული პარტია აქვს, ლიდერების მდგომარეობა, გარდა ბ. გურგენიძისა, რომელიც პირველ ადგილზეა, ნათელი არ არის.

## პირველად თბილისში

ს უ რ ა თ ზ ე: მოტოციკლისტები რბოლის ტრასაზე.

ფოტო მ. ბორაშვილისა.



გასულ შაბათსა და კვირას თბილისელი სპორტის მოყვარულები საინტერესო სანახაობის მოწმენი იყვნენ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მოტოციკლისტთა შეჯიბრება, რომელიც „ბურევესტნიკის" სტადიონზე ჩატარდა. რით იყო იგი საინტერესო? რა თქმა უნდა, მარტო იმით არა, რომ შეჯიბრებაში რესპუბლიკის უძლიერესი მოტოციკლისტები გამოდიოდნენ. საინტერესო იყო თვით შეჯიბრების შინაარსი. ბევრს ალბათ ახსოვს ომამდელი დოღი დიდუბეში, თუ რა ლამაზ სანახაობას წარმოადგენდა იგი. არაფრით არ ჩამოუვარდებოდა მას მოტოციკლისტთა შეჯიბრება სტადიონის სარბენ ბილიკზე.

400-მეტრიანი ოვალის ერთ-ერთ სწორზე მოწყობილი იყო სტარტისა და ფინიშის ხაზი. მსაჯის ნიშანზე სამი ან ოთხი მოტოციკლი გამაყრუებელი გუგუნით წყდებოდა ადგილიდან. ოთხი წრის (16.000 მეტრი) შემდეგ სპორტსმენები ამთავრებდნენ რბოლას, ორი გამარჯვებული გადადიოდა მომდევნო წრეში, ხოლო დანარჩენები კარგავდნენ პირველობისათვის ბრძოლის უფლებას. ასეთი სისტემის წყალობით რჩებოდნენ მხოლოდ ძლიერები და ბრძოლა კიდევ უფრო საინტერესო ხდებოდა.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ფინალს, რომელსაც უნდა გამოერკვია პირველი სამი პრიზიორი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო ყველაფერი, მეორე დღეს ყველაფერი თავიდან იწყებოდა და მხოლოდ ორდღიანი შეჯიბრების შემდეგ მეღავნდებოდა პირველი სამი ადგილი. ასეთი შეჯიბრება თბილისში პირველად ჩატარდა და მან კანონიერი ინტერესი დაიმსახურა.

ბრძოლა პირველობისათვის დაიწყეს 125 კბ სმ მოცულობის კლასის მოტოციკლისტებმა. წინასწარი შეხვედრები—მერვედფინალები და მეოთხედფინალები არ იყო ისე დაძაბული, ვინაიდან ძლიერები შედარებით სუსტ მოტოციკლისტებს ხვდებოდნენ და იოლად იგებდნენ. ცხადი იყო, რომ პირველ ადგილს ჰყავდა სამი ძირითადი კონკურენტი — ვ. გრიგორიანი, ჯ. ცალქალამანიძე და ა. კაფაროვი. ნახევარფინალში სტარტი აიღო სამმა სპორტსმენმა: კაფაროვმა, გრიგორიანმა და ენუქიძემ. პირველად კაფაროვი დაწინაურდა, რომელსაც „თვალში ჩაუჯდა" ენუქიძე. ერთ-ერთ მოსახვევში ენუქიძემ წინ გასვლა სცადა, მაგრამ ამაოდ. მალე ლიდერებს მიუახლოვდა გრიგორიანი, რომელმაც დიდ სისწრაფეზე აიღო მოსახვევი და პირველი გამოვიდა სწორზე. მისი გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ სპორტსმენს მოულოდნელად დაუზიანდა მანქანა. ამ შემთხვევამ გრიგორიანს პირველობისათვის ბრძოლის შანსები დაუკარგა.

თანაბარი სიძლიერით გაიარა შეჯიბრება სპორტის ოსტატმა კ. ცალქალამანიძემ. იგი სწორად, ეკონომიურად შემოდიოდა მოსახვევში და ამის წყალობით სწორზე გასვლისას ყოველთვის წინ იყო. ცალქალამანიძეს ხელს უწყობდა მანქანაც, რომელიც სანიმუშოდ მუშაობდა. ფინალში ცალქალამანიძე ფინიშთან პირველი იყო. უკანასკნელ მოსახვევში ახალგაზრდა მოტოციკლისტმა ლეომინიდმა გაბედული მანევრით გაუარა კაფაროვს და მეორე ადგილი დაიკავა. კაფაროვი მესამე იყო.

კიდევ უფრო საინტერესო გამოდგა ბრძოლა პირველობისათვის 350 კბ სმ მოცულობის კლასის მოტოციკლებში, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ რესპუბლიკის უძლიერესი სპორტსმენები თ. ჩხაიძე, ო. ხარაძე, თ. შალიბაშვილი, ბ. სუხიშვილი. მათ შედარებით იოლად მოიგეს წინასწარი შეხვედრები და გავიდნენ ფინალში. აქ სტარტზე ოდნავ შეფერხდა ხარაძე, რის შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდო ჩხაიძემ. ფინიშის ხაზთან მეორე იყო შალიბაშვილი, ხოლო ხარაძემ უკანასკნელ მეტრებზე გადაუსწრო სუხიშვილს და მესამე ადგილი დაისაკუთრა.

ლიდერთა მდგომარეობა არ შეცვლილა მეორე დღესაც. მსუბუქი კლასის მოტოციკლისტებში კვლავ მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნა ცალქალამანიძემ, რომელმაც ორი დღის ჯამში პირველი ადგილი დაისაკუთრა. კაფაროვი მეორე ადგილზე გამოვიდა, ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდა გრიგორიანს.

უაღრესად დაძაბული იყო ფინალური ბრძოლა 350 კბ სმ მოცულობის კლასის მოტოციკლებს შორის. ისევე, როგორც წინა დღეს, პირველობისათვის ოთხი სპორტის ოსტატი იბრძოდა — თ. ჩხაიძე, ო. ხარაძე, ბ. სუხიშვილი, და თ. შალიბაშვილი. სტარტიდან წინ გაიჭრა სუხიშვილი, რომელსაც მცირე განსხვავებით მიჰყვა ხარაძე. მეორე წრის შემდეგ სუხიშვილის უპირატესობა უკვე საგრძნობი იყო. დარჩენილ მანძილზე მას პირველობა არავისთვის დაუთმია. ხარაძეს წილად ხვდა მეორე ადგილი, ხოლო ჩხაიძეს — მესამე.

შეჯამდა ორი დღის შედეგები და გამოირკვა, რომ გამარჯვება და პირველი პრიზი სპორტის ოსტატ ჩხაიძეს დაუსაკუთრებია. მეორე ადგილი წილად ხვდა ხარაძეს, ხოლო მესამე — სუხიშვილს.

მოტოციკლისტთა შეჯიბრების მოწყობა სტადიონის ბილიკებზე კარგი წამოწყება იყო. იმედს გამოვთქვამთ, რომ თბილისელები მას კიდევ იხილავენ.

**ნ. ახვლედიანი**

## ველოდით უკეთეს შედეგებს

### სამი რესპუბლიკის მძლეოსანთა მატჩი

ერევანში გამართულ ამიერკავკასიის მძლეოსანთა მატჩის დამთავრების შემდეგ გავიდა ზუსტად ორი კვირა და თბილისში კვლავ შეიკრიბნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის უძლიერესი მძლეოსნები მორიგი შეჯიბრებების ჩასატარებლად.

შეჯიბრებაზე ნაჩვენებ იქნა სპორტის ოსტატის 2 შედეგი. მათ შორის ერთი ეკუთვნის აზერბაიჯანელ ა. დემენტიევს, რომელმაც პირველად მოიპოვა ეს საპატიო წოდება. 22-მა მონაწილემ აჩვენა პირველი თანრიგის ნორმატივი. უნდა ითქვას, რომ მაყურებელი სამართლიანად მოელოდა უკეთეს შედეგებს.

შეჯიბრება, რომელიც ორ დღეს გრძელდებოდა, დაიწყო ჰოკით ხტომით. ისე როგორც ერევანში, აქაც გამარჯვებული გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის რეკორდსმენი ე. პიპინოვი, მაგრამ ამჯერად მან მხოლოდ 4 მეტრის გადალახვა შეძლო. ასეთივე შედეგი ჰქონდა მის თანაგუნდელ ვ. ვანცკევიჩს.

ქალთა შორის შუბის ტყორცნაში გამარჯვებისათვის იბრძოდა საქართველოს ორი რეკორდსმენი — გ. ბრიტვინა (ქალთა შორის) და ვ. ქიტინიოვა (გოგონათა შორის). გამარჯვება წილად ხვდა უფრო გამოცდილ ბრიტვინას, რომელმაც აჩვენა 43,38 და 1,16 მეტრით აჯობა კონკურენტს.

საინტერესოდ წარიმართა ვაჟთა შეჯიბრება სპრინტერულ დისტანციებზე. 100 მეტრზე წინასწარი გარბენების დამ თავრების შემდეგ 11 მონაწილეთაგან საუკეთესო შედეგი ჰქონდა რ. ტრაპაიძეს—10,7. ფინალში უკეთესი შედეგი—10,6 აჩვენა ე. ლომთაძემ. სამაგიეროდ ტრაპაიძემ რევანში აიღო მეორე დღეს, როცა 200 მეტრზე 0,5 წამით უკან ჩამოიტოვა უახლოესი კონკურენტი ლომთაძე და 21,5 წამში პირველმა გაირბინა დისტანცია.



110 მეტრზე თარჯრბენში სტარტზე გამოვიდა ორი მონაწილე სპორტის დამსახურებული ოსტატების ე. გოკიელისა და ნ. დუმბაძის შვილები — გ. გვინჩიძე და ი. დიაჩკოვი. მართალია, ორივე მონაწილემ აჩვენა პირველ თანრიგზე უკეთესი შედეგი, მაგრამ ფინიშთან გვინჩიძემ (14,9 წ.) 0,2 წამით ჩამოიტოვა მოწინააღმდეგე.

სამხტომში შეჯიბრების მონაწილეთაგან ოთხმა (მათ შორის ორმა საქართველოდან) აჩვენა პირველ თანრიგზე უკეთესი შედეგი. ერევანში გამართულ მატჩში გამარჯვებულმა ა. დემენტიევმა (აზერბაიჯანი) მაშინ დაძლია 15.42 მ და საგრძნობლად მიუახლოვდა სპორტის ოსტატის ნორმას. თბილისის „დინამოს" სტადიონზე იგი გადახტა 15,54 მეტრზე და შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა. უძლიერესთა შეჯიბრებაზე ოსტატის მეორე ნორმა აჩვენა მსოფლიოს ყოფილმა რეკორდსმენმა უროს ტყორცნაში ს. ნენაშევმა (აზერბაიჯანი), რომელმაც ურო გაგზავნა 60 მეტრსა და 77 სანტიმეტრზე. სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია ჩადუნელის გამარჯვება ბადროს ტყორცნაში, რომელმაც ფინალში შედეგით 47 მ 49 სმ მოუგო სომხეთის წარმომადგენელს ე. ტოვმასიანს. ლ. იევლიევა (საქართველო) სიგრძეზე გადახტა 5.66 მეტრზე, ხოლო რ. ქოჩლაძემ 80 მეტრზე თარჯრბენში აჩვენა 11,5 წამი.

საქართველოს მძლეოსნებისათვის ლიმდე გადაულახავ წინააღმდეგობად რჩება საშუალო მანძილებზე რბენა. 800 მეტრზე რბენის სტარტზე გამოსული ოთხი მონაწილიდან ყველა ჩვენი რესპუბლიკიდან იყო, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო პირველი თანრიგის ჩვენება. ასევე ითქმის 1500 მეტრზე რბენაშიც, სადაც გამარჯვებისათვის მხოლოდ ნ. თვაური, ვ. ივანოვი და ა. მეშჩერიაკოვი (ყველა საქართველოდან) იბრძოდნენ. მართალია, ნ. თვაურმა შეძლო პირველი ადგილის მოპოვება, მაგრამ მხოლოდ მეორე თანრიგის შედეგით — 4 04,2.

ამ შეჯიბრებაზე საქართველოს სპორტსმენებმა დაიკავეს 18 პირველი ადგილი, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებმა — 4-4.

სხვა შეხვედრათა ტექნიკური შედეგები ასეთია: ქალები: სიმაღლეზე ხტომა — ს. როზანოვა-155 სმ, ა. ოლაცკო-150 სმ (ორივე საქართველოდან), ჟ. მხოიანი-150 სმ (სომხეთი); ბირთვის კვრა — მ. დიაჩკოვა-12,61 მ, ქ. კახიშვილი — 10,90 მ (ორივე საქართველოდან), ბადროს ტყორცნა — ქ. კახიშვილი—33,72 მ.

ვაჟები: ბირთვის კვრა — რ. ნერსესიანი (სომხეთი)-14,09 მ, გ. შავთვალაძე-13,85 მ, ო. გოშაძე-13,75 მ (ორივე საქართველოდან); შუბის ტყორცნა — ვ. ნიკიშოვი (აზერბ.)—65,10 მ, ი. გიგაური (საქართ.)-62,77 მ, ე. ორცოვი (სომხ.)-57,56 მ; რბენა 400 მ — ნ. კლიუევი-49,7 ლ. ნიკოგოსოვი — 51,8, გ. საქუაშვილი 54,5 (ყველა საქართველოდან); სიგრძეზე ხტომა — რ. ქვაჩახიძე-6,85 მ (საქართ.), ვ. დოლაბჯიანი (სომხ.)-6,72 მ, გ. გვინჩიძე (საქართ.)-6,61 მ; 10 კმ სპორტული სიარული — ნ. როსტოვი (სომხ.) — 48.49,0. ა. მჭედლიშვილი 50.35,4. პ. პოლტორანი — 54.32,6 (ორივე საქართველოდან); 20 კმ — ნ. კალანდაძე-1:50.01,0; სიმაღლეზე ხტომა — ა. შკოლიაროვი-190 სმ, მ. კოჩარიანი-190 სმ (ორივე სომხეთიდან), ქ. ვალოვი-180 სმ (აზერბ.); რბენა 5 კმ — ნ. სერგეევი (სომხ.)-14.58,0, ი. სუხანოვი (საქართ.)-15.42,2; 400 მ. თარჯრბენი — კ. ნაგორნი (საქართ.) 57,8.

**ო. გელაშვილი**

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: რ. ტრაპაიძე ფინიშთან.

ფოტო მ. ბორაშვილისა.

## მოჭიდავეთა ამხანაგური შეხვედრები

### დასასრული

ერთადერთი ქულა „ტრუდმა" მიიღო ა. ლომჩაკოვისა და თ. კობახიძის შეხვედრაში (მსუბუქი წონა), სადაც მოსკოველმა მძიმე ბრძოლის შემდეგ შეძლო მცირე უპირატესობის მოპოვება. დანარჩენი წყვილების ჭიდაობა დამთავრდა განთიადელთა გამარჯვებით: ზ. შეყრილაძემ მოუგო ვ. გოლოვლიოვს, ლ. ძაგანიამ — ვ. ბორისოვს, ვ. რუხაშვილმა — ა. პონომარენკოს, ზ. მეშველიანმა — ბ. უვაროვს, მ. კილასონიამ — ი. ზუევს, გ. გობეჯიშვილმა — ფ. გარბარს და შ. მდინარაძემ — ა. კუპცოვს. საერთო ანგარიშია 7:1 „განთიადის" სასარგებლოდ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გობეჯიშვილის გამარჯვება ძლიერ მოჭიდავე გარბარზე. სულ 20 წამი იყო გასული ჭიდაობის დაწყებიდან, როცა გობეჯიშვილმა ფანდზე დაიჭირა მოწინააღმდეგე და ბეჭით მიაკრა ხალიჩას.

„განთიადის" მოჭიდავეებმა (მწვრთნელები პ. იორდანიშვილი და შ. ნოზაძე) მოსკოვის ძლიერ გუნდთან შეხვედრაში აჩვენეს კარგი ფიზიკური და ტაქტიკური მომზადება.

**რ. ქორიძე**

* * *

### „ტრუდი" (მოსკოვი) — „კოლმეურნე" (საქართველო)

თბილისში ჩატარებული შეხვედრის შემდეგ მოსკოვის „ტრუდის" მოჭიდავეები მოწვეულ იქნენ საგარეჯოში საქართველოს „კოლმეურნის" გუნდებთან ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად.

საგარეჯოელებმა სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს, გადასცეს მათ საჩუქრები და ყვავილები.

შეხვედრა კლასიკურ ჭიდაობაში მოიგო „ტრუდის" გუნდმა ანგარიშით 6:2. „კოლმეურნემ" რევანში აიღო თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც დაამარცხა მოწინააღმდეგე ანგარიშით 6,5:1,5.

მოჭიდავეთა შეხვედრებს მრავალი მაყურებელი დაესწრო.

**გ. ქიმერიძე**




მძიმე წონის ჩვენი ჩემპიონი. ნახ. მ. ოთაროვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ფოსტიდან

# უვიცობის იშვიათი ნიმუში

30 მაისს თბილისის „დინამოს" სტადიონზე შედგა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე „ბ" კლასის IV ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „ყუბანი" (კრასნოდარი).

და აი ჩვენს წინაშეა ამ მატჩის პროგრამა, რომელიც იმ დღეს იყიდებოდა „დინამოს" სტადიონზე.

ფეხბურთის მოყვარულთა ინტერესი ზონის ლიდერთა მატჩისადმი დიდი იყო, ამიტომ ასეთი პროგრამის გამოშვება, მით უმეტეს, როცა მასში გათამაშების ცხრილიცაა მოყვანილი, უდავოდ კეთილი საქმეა. მაყურებელი კარგადაა ინფორმირებული, შემადგენლობებიც თვალწინა აქვს, გუნდების მდგომარეობაც მატჩის დღისათვის.

მაგრამ ცოდვა გატეხილი ჯობია: ამგვარი პროგრამის გამოშვებას, ჯობია სულაც არ გამოუშვა იგი და არ ჩააყენო მაყურებელი უხერხულ მდგომარეობაში. 30 მაისის საფეხბურთო პროგრამა შეიძლება ჩაითვალოს უვიცობის იშვიათ ნიმუშად.

აიღებთ თუ არ ხელში პროგრამას, მაშინვე შეამჩნევთ პირველ გვერდზე პირველივე შეცდომას: კრასნოდარის გუნდი წოდებულია „კუბანად", როცა მას ქართულ ენაზე „ყუბანი" ჰქვია.

მეორე გვერდზე მოთავსებულია სულ რაღაც 14-სტრიქონიანი ტექსტი, რომელიც შეეხება მოთამაშე გუნდების მდგომარეობას. აქ კი ჩვენს თვალწინ ნამდვილი „მარგალიტებია" გადაშლილი.

აი, მაგალითად, რა წერია მეორე აბზაცში: „კუბანი"—კრასნოდარს (?) დღევანდელი შეხვედრის დამთავრებამდე (?) მოგროვილი აქვს 15 ქულა ჩატარებული 9 თამაშიდან".

და შემდეგ: „... ორივე გუნდს რამდენი ქულა ექნებათ თამაშის შემდეგ ამას გვიჩვენებს დღევანდელი სპორტული ასპარეზობა, რის შემდეგ ცხადი იქნება თუ ვინ იქნება ლიდერი გათამაშებისა".

ტექსტი მთავრდება პათეტიური ფესტით: „ვუსურვოთ ორივე გუნდს წარმატება". საინტერესოა, ამ ლოზუნგის ავტორს პრაქტიკულად როგორა აქვს წარმოდგენილი ორივე გუნდისათვის წარმატების ეს სურვილი.

დანარჩენ ტექსტი, ... ცხრილი და ... გუნდების შემადგენლობანი რუსულ ენაზეა მოყვანილი. აი აქ კი სრულად გამოუჩენია ავტორს თავისი ცოდნა და განათლება. ამდენი შეცდომა არ ეპატიება არა თუ პროგრამის სახალხოდ გამომშვებს, არამედ არარუსული დაწყებითი კლასების მოსწავლესაც კი.

ჭეშმარიტად კლასიკურია ერთი აბზაცი, სადაც სიტყვასიტყვით ასე წერია: „сегоднешный поединок этых команды определить кто из них будет лидером розыгриша".

გარდა ამისა, აქვე ვხვდებით ასეთ გრამატიკულ და გეოგრაფიულ „სიახლეებს": „вызивает", „Эреван", „Астрахан", „ничии", „порож." და სხვა.

უშეცდომოდ ვერც ცხრილი გადარჩა: თბილისის არმიელთა გუნდს დაკარგულ ქულათა სვეტში უწერია 6, როცა არმიელებს იმ დღისათვის სინამდვილეში დაკარგული ჰქონდათ 4 ქულა.

შეცდომებია დაშვებული მოთამაშეთა გვარების დასახელებაში: გუნდის კაპიტანი და მარცხენა შუამარბი ევსიუკოვი წოდებულია ევეუკოვად, მარცხენა გარემარბი ზიბროვი — ზიბრინად.

ამბობენ, რომ კრასნოდარელმა ფეხბურთელებმა ბევრი იცინეს პროგრამის კითხვისას და მისი ერთი ეგზემპლარი სამახსოვროდ წაიღეს კიდეც შინ.

განა სირცხვილი არაა საქართველოს დედაქალაქში ასე უვიცად შედგენილი პროგრამა გამოდიოდეს, რომლის ტექსტი სულ ორი ნაბეჭდი გვერდიც კი არ გამოვა?

## რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

### ლაგოდეხი

ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კლუბში ორ დღეს მიმდინარეობდა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში რაიონის პირად პირველობაზე. ჩემპიონები გახდნენ: ა. გონდაური, უ. სიფრაშვილი, ი. ხელაშვილი, ს. მაჭარაშვილი, ქ. ფერაძე, გ. ხუბეჯიშვილი, ა. ღვინიაშვილი.

გ. ბაგაური

### თელავი

თელავის ძაფსაღები ფაბრიკის ფიზკულტურის ძირეულმა საბჭომ მოაწყო კომკავშირელ მუშა-ახალგაზრდობის ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: თელავი — ცივგომბორის მთა — თელავი, რომელშიც 28 კაცი მონაწილეობდა. შესვენების დროს მოეწყო მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლა 50 მეტრზე. ლაშქრობის მონაწილენი კმაყოფილებით დაბრუნდნენ ფაბრიკაში.

ვ. ქურციკაშვილი

### სტალინირი

სტალინირის ვ. ი. ლენინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე გაიხსნა საჭიდაო დარბაზი, რომელიც იტევს 900 მაყურებელს.

გახსნასთან დაკავშირებით აქ მოეწყო ამხანაგური შეხვედრები თავისუფალ, კლასიკურ და ქართულ ჭიდაობაში, რომელსაც მრავალი მაყურებელი დაესწრო.

• • •

ჩატარდა რაიონული პირველობა ფრენბურთსა და ქართულ ჭიდაობაში. პირველი ადგილი ფრენბურთელ ქალთა გუნდებს შორის დაიკავა კეხვის გუნდმა, ვაჟთა შორის — ქსუისელებმა.

ქართულ ჭიდაობაში შეჯიბრება ჩატარდა გუნდურ პირველობაზე. გაიმარჯვეს ერედვის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მოჭიდავეებმა.

ვ. მელქოევი

### ხაშური

ხაშურის რაიონის სოფ. ქვიშხეთის საშუალო სკოლის ფეხბურთელთა გუნდმა წარმატებას მიაღწია რაიონულ შეჯიბრებაში სოფლის სკოლებს შორის და პირველი ადგილი დაისაკუთრა.

მ. კიკნაძე



## ფეხბურთის მსოფლიო პირველობის ფინალში

# ბრაზილიის ეროვნული ნაკრები

ფეხბურთის ცნობილი მიმომხილველი, ფრანგი ჟურნალისტი გაბრიელ ანო ასე ახასიათებს ბრაზილიის ფეხბურთს: „ბრაზილიაში ძლიერ ბევრია მაღალი კლასის ფეხბურთელი, მეტი, ვიდრე ეს საჭიროა, მაგრამ ისინი არგენტინელებს ჩამორჩებიან? ჩავრავენ არტისტობაში. ბრაზილიელები ბურთის ტყვეები არიან, ამას კი ხშირად არ მიყავს საქმე სიკეთემდე. აუღელვებლები, როდესაც წარმატება მათ მხარესაა, ბრაზილიელები ჰკარგავენ თავდაჭერას როგორც კი ბედი მათ დატოვებს. ასე იყო 1950 წელს რიო-დე-ჟანეიროში, მარაკანას სტადიონზე (IV მსოფლიო ჩემპიონატის დროს), როდესაც მათ წააგეს მატჩი ურუგვაისთან. ასე იყო შვეიცარიაშიც უნგრეთთან 2:4 წაგების შემდეგ".

ფრანგ ჟურნალისტს მშვენივრად გაუგია ბრაზილიური ფეხბურთის არსი, რომელსაც, სხვათა შორის თავისი გამომწვევი მიზეზიც აქვს. ბრაზილიის ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ყველა ხუთივე ჩემპიონატის მონაწილეა. იგი მუდამ პრეტენდენტთა რიგებში ითვლებოდა და ვერასდროს ვერ მიაღწია სანუკვარ პირველ ადგილს. თუ გავითვალისწინებთ ბრაზილიელთა ცეცხლოვან ტემპერამენტს, ეს მიზეზი საკმაოდ მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

ბრაზილიის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში, რომელიც დაიცავს თავისი ქვეყნის ღირსებას მსოფლიოს პირველობაზე, მოხვდნენ შემდეგი ფეხბურთელები: მეკარეები — ჟილმარი, კასტილიო; მცველები — ბელინი, დე სორდი, ჯალმა სანტოსი, მაურო; ნახევარმცველები — დინო, ზოზიმო, ზიტო, ნილტონ სანტოსი, ორეკო, ორლანდო; თავდასხმა — ჟოელი, პერეირა, ვავა, დიდი, ზაგალო, გარინჩა, მოასირი, მაცოლა, პელე, პეპე. ამ სიაში მკითხველისათვის ყველაზე ცნობილი გვარია ნილტონ სანტოსი — ბრაზილიური ფეხბურთის „მშვენება".

ნილტონ სანტოსი 32 წლისაა. ეროვნულ ნაკრებში იგი პირველად 1949 წელს გამოჩნდა. ამ ხნიდან სანტოსმა ნაკრებ გუნდში 100 მეტი მატჩი ითამაშა. სანტოსი რიო-დე-ჟანეიროს ჩემპიონის „ბოტაფოგოს" ყველა გამარჯვებათა ავტორი და სულისჩამდგმელია. სხვა გუნდის წევრებისაგან განსხვავებით სანტოსი არაჩვეულებრივად დისციპლინირებული და თავდაჭერილი ფეხბურთელია. სანტოსს ჰყავს პატარა ვაჟი კარლუს ადუარდუ და გადაწყვეტილი აქვს არ ასწავლოს მას ფეხბურთი.

რა აზრისაა სანტოსი მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე? მისი განცხადებით, დიდხანს ვერ გადაწყდა მწვრთნელის საკითხი. თვითონ სანტოსი ყველაზე კარგ კანდიდატად ამ პოსტზე თვლის პარაგვაელ ფლეიტას სოლიჩს, რომლის ხელმძღვანელობითაც მოიპოვა ბრაზილიამ პირველი ადგილი სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში 1953 წელს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ვერც ერთი მწვრთნელი ვერ ბედავდა ხელი მოეკიდა ამ საპასუხისმგებლო საქმეს.

ნაკრების დაკომპლექტება გაართულა აგრეთვე იმ ფაქტებმაც, რომ ბრაზილიის ფეხბურთის ორი წამყვანი ცენტრი, რიო-დე-ჟანეირო და სან-პაულო სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან გადაკიდებულნი. ამის გამო ნაკრების შემადგენლობაში შეუძლებელია ამ ორი ქალაქის ფეხბურთელთა ერთად გამოსვლა.

ტექნიკაში ბრაზილიელებს არ ჰყავდათ ბადალი, მათ ასე თუ ისე უახლოვდებიან მხოლოდ არგენტინელები, მაგრამ ბრაზილიელების თამაშს აქვს უარყოფითი მხარეებიც, რაც პირველ რიგში არტისტიზმში მდგომარეობს. ბრაზილიელები კარგად ფლობენ ბურთს, კარგად ურტყამენ კარში, მაგრამ მათ ურჩევნიათ ლამაზი ტრიუკებით გოლის გატანის ასპროცენტიანი შესაძლებლობა შექმნან, ვიდრე გამოიყენონ მოწინააღმდეგის ყოველი შეცდომა. დაცვის ხაზის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ბრაზილიელებმა ვერ შეითვისეს მოთამაშეთა პერსონალური აყვანის პრინციპი, ამიტომ მათი კარი სულ მუდამ საფრთხის ქვეშაა. ბრაზილიელები ალბათ ამ ჩემპიონატშიც ითამაშებენ სისტემით — 4 მცველი, 2 ნახევარმცველი და ოთხი თავდამსხმელი, რადგან ისინი მას ყველაზე საიმედოდ თვლიან.

არასდროს არ მომზადებულა მსოფლიო ჩემპიონატისათვის ბრაზილიის ნაკრები ისე კარგად, როგორც წელს. ნაკრები გუნდის დროებითი მწვრთნელის (რომელიც შეიძლება დარჩეს ამ თანამდებობაზე) ვიჩენტე ფეოლას მტკიცებით მას მუშაობაში დიდ დახმარებას უწევს კინოფილმი „დინამო" — „ვასკო და გამა", რომელიც ბრაზილიელმა ოპერატორებმა გადაიღეს მოსკოვში ყოფნისას. ფეოლას აზრით კინოფილმი შესანიშნავ საშუალებას იძლევა გაეცნო ხვალინდელ მეტოქეს.

ავსტრიულმა გაზეთმა „ფოლკშტიმემ" ასე დაახასიათა ბრაზილიის გუნდი: „ისინი (ბრაზილიელები) ძლიერნი არიან თავდასხმაში, მაგრამ მოიკოჭლებენ დაცვაში. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ბრაზილიის მცველებს აქვთ თამაშის დაბალი კლასი. სრულებითაც არა. მცველები უმთავრესად გართული არიან ინდივიდუალური თამაშით, რაც ანსამბლის საერთო მოქმედებას უკან სწევს. გუნდი, რომელსაც წარმატება სურს ბრაზილიელებთან, უნდა ეცადოს რაც შეიძლება დიდხანს ათამაშოს ბურთი მათ ნახევარზე და არამცდაარამც არ ჩააბაროს ინიციატივა მეტოქეს". მეორე ავსტრიული გაზეთი „რუნდბლიკი" აცხადებს, რომ „ჩემპიონატში წარმატებაზე ფიქრი შეუძლია სამ გუნდს — სსრკ-ს, ბრაზილიასა და არგენტინას". ვნახოთ ახდება თუ არა გაზეთის წინასწარმეტყველება?

### უკანასკნელი მატჩის შემდეგ

უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრებმა ამას წინათ ბუდაპეშტში გამართა უკანასკნელი საწვრთნელი მატჩი იუგოსლავიის „პარტიზანთან". შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

ამ მატჩის შემდეგ უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო პირველობის ფინალურ მატჩებში. ნაკრებში შევიდნენ: მეკარეები — გროშიჩი და ილკუ, მცველები — მატრაი, შიპოში, შაროში, კარპატი, სიგეტი; ნახევარმცველები — ბოჟიკი, ბერენდი, სოიკა და კოტასი, თავდამსხმელები — ბუდაი, შანდორი, ვაშაში, ლახოში, ტიხი, ჰიდეგკუტი, მონოშტორი, ბუნჯაკი, ფენვეში, ფრიდმანსკი და ბეჩიჩი.

## ნარევი

### დასაძინებელი აბები

ინგლისის ქალაქ სკარბოროს ფეხბურთელები გაკვირვებული იყვნენ თანაგუნდელის — ჰოლისის თამაშით. ჩვეულებრივ სწრაფი ჰოლისი მოედანზე მოძრაობდა დუნედ, გაუბედავად. მისი კოლეგები კიდევ უფრო გაკვირდნენ, როცა მეორე ტაიმის წინ ჰოლისს დაეძინა და მის გასაღვიძებლად ყველა ცდა ამაო აღმოჩნდა. როგორც გამოირკვა, მატჩის წინ ჰოლისს სხვა წამლის მაგივრად დასაძინებელი აბები გადაუყლაპავს.

რედაქტორი ი. უგულავა.

4 ივნისს, „ბურევესტნიკის" სტადიონზე

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა „ბ" კლასის გუნდებისათვის

„ბურევესტნიკი" (თბილისი)—

„სპარტაკი" (სტავროპოლი)

დასაწყისი 6 საათსა და 30 წუთზე.

4—9 ივნისი

ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზში

ფარიკაობა

1958 წლის საქართველოს პირად-გუნდური პირველობა

მონაწილეობენ რესპუბლიკის უძლიერესი სპორტსმენები

დასაწყისი დილის 10 საათზე და საღამოს 6 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ.-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების—3-01-06.
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02579